ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №5151540

ნომერი: AR1781995

თარიღი : 15.10.2020

გაცემის თარიღი : 20.10.2020

გაცნობის თარიღი : 21.10.2020

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ზურაბ ანჯაფარიძის I შესახვევი N4;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ირინე ბალავაძე პ/ნ 01010006901
- თბილისი შ.ნუცუბიძის ფერდ III მ/რ I კვ. კორ. 15 ბ. 43

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 10 სექტემბრის №5094170 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2020 წლის 15

ოქტომბერს №AR1781995 განცხადებით მომართა ირინე ბალავაძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2020 წლის 10 სექტემბრის №5094170 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 10 სექტემბრის №5094170 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, საბურთალოს საცხოვრებელი რაიონი, კვარტალი V, ქუჩა სანდრო ეული, №5-ში, არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.14.05.007.157), მრავალფუნქციური კომპლექსის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2020 წლის 10 სექტემბრიდან 2020 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2020 წლის 10 სექტემბრის №5094170 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, საცხოვრებელი ფართობი: 12631.71 კვ.მ-ის ნაცვლად უნდა იყოს 12619.01 კვ.მ., საზაფხულო ფართობი 1896.71 კვ.მ-ის ნაცვლად 1903.06 კვ.მ., საერთო ფართობი 22882.67 კვ.მ-ის ნაცვლად 22876.32 კვ.მ. ამასთან, +3.00 ნიშნულის გეგმაზე, ექსპლიკაციებში არასწორად არის დაფიქსირებული სპორტული მოედნის ფართობი (509.6 კვ.მ-ის ნაცვლად დაფიქსირებულია 433.8 კვ.მ.).
სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები და გეგმა შეადარა შეთანხმებულ არქიტექტურულ გეგმა–ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლების ფართობები, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში. ამასთან, გეგმარება არ იცვლება, ხდება მხოლოდ გეგმაზე ფართობის დაზუსტება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 10 სექტემბრის №5094170 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: საცხოვრებელი ფართობი: 12619.01 კვ.მ., საზაფხულო ფართობი: 1903.06 კვ.მ., საერთო ფართობი: 22876.32 კვ.მ.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 10 სექტემბრის №5094170 ბრძანებით შეთანხმებული მე-2 სართულის გეგმა ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე, ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი ამავე სართულის გეგმით.
3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 10 სექტემბრის №5094170 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 10 სექტემბრის №5094170 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.